განმარტებითი ბარათი
საქართველოს კანონის პროექტზე „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“

ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ

ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი

კანონპროექტის მიღების ძირითადი მიზეზია სწავლის დაწყების ერთიანი თარიღის განსაზღვრა საქართველოს ყველა სკოლისათვის და მოსწავლეთა თანაბარი უფლებრივი მდგომარეობის უზრუნველყოფა. ,,ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის მიხედვით ,,ზოგადი განათლების დაწყებით საფეხურზე სწავლის დაწყების ასაკია 6 წელი“. იმის გამო, რომ კერძო სკოლაში სწავლის დაწყების თარიღი კანონით არ არის დადგენილი მათ უმრავლესობაში სწავლა იწყება უფრო გვიან ვიდრე საჯარო სკოლაში. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 3 სექტემბრის ბრძანების შესაბამისად საჯარო სკოლაში სწავლის დაწყების თარიღად გასაზღვრულია 15 სექტემბერი. ხშირია შემთხვევა როცა ბავშვს 6 წელი უსრულდება საჯარო სკოლებში სწავლის დაწყების შემდეგ რამდენიმე დღეში და ეკონომიკურად შეძლებულ მშობელს ბავშვი სასწავლებლად შეჰყავს კერძო სკოლაში, რასაც სხვა ბავშვების დიდი უმრავლესობა ვერ ახერხებს და იძულებულია დაელოდოს შემდეგი სასწავლო წლის დაწყებას. ამის გამო ბავშვები არათანაბარ მდგომარეობაში იმყოფებიან. სიტუაციის გამოსწორება შესაძლებელია, თუ კანონით განისაზღვრება სწავლის დაწყების ერთიანი თარიღი საქართველოს ყველა სკოლისათვის. გარდა ამისა თუ კანონით განისაზღვრება სწავლის დაწყების თარიღი, რომელიც დიდი ხნით ადრე ეცოდინება მოსახლეობას, მშობლებს შესაძლებლობა მიეცემათ უკეთ მოამზადონ ბავშვები სასწავლო წლის დასაწყებად.

აღსანიშნავია, რომ სასწავლო წლის დაწყების ერთიანი თარიღი ყველა სამართლებრივი ფორმის ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებისათვის დადგენილია ესტონეთის, მონტენეგროს, ალბანეთის და ფინეთის შესაბამისი კანონებით (ესტონეთში, მონტენეგროსა და ალბანეთში სწავლა იწყება 1 სექტემბერს, ხოლო ფინეთში 1 აგვისტოს). არის ქვეყნები სადაც სხვადასხვა სამართლებრივი ფორმის ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის დადგენილია სასწავლო წლის დაწყების სხვადასხვა თარიღი (მაგ. გაერთიანებული სამეფო, სადაც საჯარო სკოლებში სწავლა იწყება 1 აგვისტოს, ხოლო კერძოში 1 სექტემბერს). უნგრეთსა და ჩეხეთში სასწავლო წლის დაწყების თარიღი კანონით განსაზღვრულია მხოლოდ საჯარო სკოლებისათვის (უნგრეთში სექტემბრის პირველ სამუშაო დღეს, ხოლო ჩეხეთში 1 სექტემბერს).

ა.ბ) კანონპროექტის მიზანი

კანონპროექტის მიზანია ყველა სკოლისათვის სწავლის დაწყების ერთიანი თარიღის განსაზღვრით უზრუნველყოს მოსწავლეთა თანაბარი უფლებრივი მდგომარება და საშუალება მისცეს მშობლებს უკეთ მოამზადონ ბავშვები სასწავლო წლის დასაწყებად.

ა.გ) კანონპროექტის ძირითადი არსი

წარმოდგენილი კანონპროექტის თანახმად, კანონს ემატება მე-7^1 მუხლი, რომლითაც განისაზღვრება საქართველოს ყველა სკოლაში სწავლის დაწყების ერთიანი თარიღი. კანონპროექტის მე-7^1 მუხლით განისაზღვრება საქართველოს ყველა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლის დაწყების ერთიანი თარიღი 15 სექტემბერი. კანონპროექტის მიხედვით საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ - სამართლებრივი აქტით შეიძლება განისაზღვროს ამ მუხლის პირველი პუნქტით დადგენილისაგან განსხვავებული სასწავლო წლის დაწყებისა და/ან დასრულების თარიღი შემდეგ შემთხვევებში:

ა) ,,ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად საჯარო სკოლაში პილოტირების განხორციელებისას.

ბ) სკოლებში ფორსმაჟორული გარემოებების არსებობისას (ეკოლოგიური კატასტროფა ან/და ეპიდემია, მასობრივი არეულობა და სხვა), აგრეთვე ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სარეაბილიტაციო სამუშაოების შესრულებისას.

გ) კერძო სკოლის დასაბუთებული მოთხოვნის საფუძველზე.

ბ) კანონპროექტის ფინანსური დასაბუთება

ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებული აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო

კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს სახელმწიფო ბიუჯეტიდან დამატებითი სახსრების გამოყოფას.

ბ.ბ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე

კანონპროექტის მიღება არ იქონიებს გავლენას ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე.

ბ.გ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე:

კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილის ცვლილებას.

ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები:

კანონპროექტის მიღება არ ითვალისწინებს სახელმწიფოს მიერ ახალი ფინანსური ვალდებულებების აღებას.

ბ.ე) კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირთათვის, რომელთა მიმართ ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება

კანონპროექტით არ დგინდება ფინანსური შედეგი იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება.

ბ.ვ) კანონპროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის ოდენობა და ოდენობის განსაზღვრის პრინციპი

კანონპროექტი არ ითვალისწინებს გადასახადს, მოსაკრებელს ან სხვა სახის გადასახდელს.

გ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან

გ.ა) კანონპროექტის მიმართება ევროკავშირის დირექტივებთან:

კანონპროექტის მიღება არ ეწინააღმდეგება ევროკავშირის დირექტივებს.

გ.ბ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან:

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებს.

გ.გ) კანონპროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან:

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებს.

დ) კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები.

დ.ა) სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/ დაწესებულება, ექსპერტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს კანონპროექტის შემუშავებაში, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

არ არის.

დ.ბ) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის (დაწესებულების) ან/და ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

არ არის.

ე) კანონპროექტის ავტორი:

საქართველოს პარლამენტის წევრი ალექსანდრე ქანთარია.

ვ) კანონპროექტის ინიციატორი:

საქართველოს პარლამენტის წევრი ალექსანდრე ქანთარია.